



MES 6 23 0001697418



12/12/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 28.11.2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:03 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

10. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
11. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
16. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი
1	მზია წერეთელი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
2	ლუიზა არუთინოვი		პროგრამის ხელმძღვანელი;
3	თეონა ლოდია		პროგრამის თანახელმძღვანელი;
4	იამზე კუტალაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი; კომპიუტერული მეცნიერება
5	მაგდა ცინცაძე		პროგრამის ხელმძღვანელი;
6	მანანა ხაჩიძე		მიმართულების ხელმძღვანელი;
7	არჩილ ელიზბარაშვილი		პროგრამის კოორდინატორი

8	არჩილ ელიზბარაშვილი		პროგრამის კოორდინატორი
9	თამარ ჭელიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
11	შოთა ფოთოლაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
13	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
14	ზურაბ მეგრელიშვილი		პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
15	დავით ჩხაიძე		ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
16	გოჩა ჩავლეშვილი		ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	ნათია ბადრიშვილი	I, II
2	თამარ გვიანიშვილი	I
3	ანი ქვათაძე	II
4	მაქსიმ იავიჩი	III

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1428368; 14.12. 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA in Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 11, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნათია ბადრიშვილის შეფასების მიხედვით, გაცემულ იქნა რეკომენდაცია 2.4 სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის წესის დაცვასთან, წარდგენასთან და შეფასებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და პროგრამა არის მეორე სტანდარტთან შესაბამისობაში

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესს, რომელიც გაითვალისწინეს და დებულებაში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები. შესაბამისად, როგორც ექსპერტმაც დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებულია.

შეკითხვები საბჭოს მხრიდან არ დასმულა, საბჭომ გადაინაცვლა სათათბიროდ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:15

დასრულების დრო: 14:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია Work and Organizational Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. N1429196 14.12. 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA in Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. 11, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნათია ბადრიშვილის შეფასების მიხედვით გაცემულ იქნა ორი რეკომენდაცია, 1.4 და 2.4 ქვესტანდარტებთან მიმართებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებით რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შესახებ, გათვალისწინებული და შესრულებულია დაწესებულების მიერ, ხოლო 1.4 ქვესტანდარტის შესახებ რეკომენდაციას არ იზიარებს დაწესებულება. ექსპერტმა აღნიშნული რეკომენდაცია განსაზღვრა როგორც „შესრულებულია ნაწილობრივ“. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიმდინარე მდგომარეობა არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო მოთხოვნებს, ვინაიდან, არსებობს სავალდებულო სასწავლო მოდულები და არჩევითი სასწავლო კურსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადად, მის მიერ გაცემული რეკომენდაცია - „სავალდებულო და არჩევით კურსები გაიმჯნოს მოდულების ფარგლებში და აისახოს კურიკულუმის რუკაში“ - არ არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იამზე კუტალაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არაა ნაწილობრივ, არამედ სრულყოფილად შესრულებულია, ვინაიდან კანონმდებლობის მოთხოვნებს პროგრამა სრულებით შეესაბამება, რადგანაც აღნიშნული აქტები მოითხოვს მოდულის/საგნის სავალდებულოობას. მან განმარტა, რომ პროგრამას გააჩნია სამი სავალდებულო მოდული, თითოეული კი შედგება ჰომოგენური ჯგუფებით. მისი მტკიცებით, არსებული პროგრამაში რომელი საგანიც უნდა აირჩიოს სტუდენტმა, მას ფუნდამენტური საბაზისო ცოდნა მაინც რჩება. მან მაგალითად მოიყვანა, რომ ის კვლევის მოდული, რომელშიც ძირითადი უნარების განვითარებას ხელს უწყობს არსებული საგნები, ჯგუფები ჰომოგენურია, ყველა მოდულში, მიუხედავად იმისა რომ, ყველა საგანი არჩევითია, სტუდენტს გაუვლელი შესაძლებელია დარჩეს მხოლოდ 2 საგანი. ამავდროულად, დაწესებულების არგუმენტის მიხედვით, სტუდენტი სწავლობს ავტონომიურობას საკუთარი სასწავლო გეგმის კონსტრუირებით. დაწესებულების განმარტებით, ყველა მაგისტრანტი დასაქმებულია და ყველას გააჩნია პრაქტიკული ინტერესები რაღაც კონკრეტულ სფეროში, რომელშიც უფრო სჭირდება ცოდნის გაღრმავება, პროგრამა კი იძლევა ამის საშუალებას. გარდა ამისა, პროგრამის შექმნას საფუძვლად დაედო საერთაშორისო სტანდარტები, ის მიყვება SIOP-ის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ისე რომ აქაური რეგულაციებიც გაითვალისწინოს. სილაბუსების შექმნისას პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს კონსულტაციას ლექტორებთან და თანხმდება ყოველი წლის დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია პროგრამა, ის წარმატებით ფუნქციონირებს. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის შექმნისას სარგებლობდა მისთვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლებით. დაწესებულების მტკიცებით, პროგრამა მუშაობს, მოთხოვნადია, პირველია დარგში, დინამიურად და ახლადგანვითარებული სფეროა და სტუდენტებისთვის ადამიანური რესურსების სფეროში დასაქმების პოტენციალი გააჩნია. პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა პროგრამის მიერ სტუდენტებისთვის მიცემული ცოდნის მნიშვნელობას კომპანიების ფუნქციონირებისთვის. მან დაამატა, რომ პროგრამა

გამოყენებითი ფსიქოლოგიის კონტექსტში უნივერსიტეტის წარმომადგენელი ხვდება სტუდენტებს, ეხმარება პროგრამის კონსტრუირებაში პირველი და მესამე სემესტრის დასაწყისში. პროგრამის ზოგი საგანი ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება პოპულარობის ნაკლებობის გამო, მაგრამ თუ ინტერესი სტუდენტს აქვს, მას აუცილებლად ეძლევა ასეთი საგნის გავლის საშუალება. შესაბამისად, ეკონომიურობის თვალსაზრისით, პროგრამა არ არის დატვირთული, მომზადებულია სილაბუსები და კურსები აპრობირებულია.

პროგრამის ხელმძღვანელმა მოითხოვა ცხრილის საბჭოსთვის წარდგენა, რომელიც აღწერდა სტუდენტთა მოთხოვნას პროგრამის თითოეულ საგანზე. საბჭოს თავმჯდომარემ მისცა წარდგენის საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, არის თუ არა შესაძლებლობა, რომ სტუდენტის მიერ შერჩეული საგანთა კომბინაცია ვერ აღწევდეს პროგრამის სწავლის შედეგებს. დაწესებულებამ განმარტა, რომ საგანთა კომბინაციის შერჩევა ხდება ლექტორებთან კონსულტაციებით, სილაბუსები შედგენილია კურსის ძირითადი მიზნის მიღწევის საფუძველით. საგანთა ნებისმიერი კომბინაცია არის ერთმანეთის შემავსებელი და სტუდენტის მიერ ნებისმიერი კომბინაციის შემთხვევაში კურსდამთავრებული იქნება კონკურენტუნარიანი და ბაზარზე მოთხოვნადი. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, ის შექმნისას ისმენდა დამსაქმებლების შეფასებებს პროგრამაზე და მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები პოზიტიური იყო, მან პროგრამა მაინც განავითარა. მისი განცხადებით პროგრამა მომზადებულ კადრებს უშვებს და მოცემული პროგრამის მსგავსი არ არსებობს და შექმნის დღიდან კონკურსი ამ პროგრამაზე მაღალია, მიღებაც მკაცრად ხდება. ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მაღალ დონეზე შექმნილ სამაგისტრო ნაშრომებს, კვლევით და მეთოდოლოგიურ კომპონენტებს, ანალიზის მეთოდებს და სხვ. ეტყობათ პროგრამის ხარისხი. ზემოხსენებული ცხრილის მიხედვით, ხელმძღვანელმა აღწერა, რომ ყველა საგანზე სტუდენტთა განსხვავებული რაოდენობაა მოგროვილი მათი ინტერესთა სფეროდან გამომდინარე. დაწესებულებამ განმარტა, რომ სადავო საკითხი რომ იყოს შინაარსობრივი, მსჯელობა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ საკითხი ტექნიკურია და თანაც, წარმოადგენს ინტერპრეტაციის საკითხს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია რატომ ხდება ამ პროგრამის გარშემო განხილვა, ვინაიდან მოდული არის სავალდებულო, ხოლო ამ მოდულში საგნები არჩევითი. ასევე, მისთვის გაუგებარია რატომ უნდა გახდეს სავალდებულო მოდულში საგნებიც სავალდებულო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეული საგანი განსხვავებული გზებით ერთი და იგივე სასწავლო შედეგზე გადის, ანუ ისინი არიან თანაბარწონიანი, ურთიერთჩანაცვლებადი კურსები. მან დაამატა, რომ პროგრამა გადამოწმებულია დეტალურად და არ იძლევა შანსს არცერთი კომბინაციით, რომ ვერ დაიფაროს სასწავლო მასალა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამა ეკონომიურობის პრინციპს არ არღვევს, ვინაიდან თითოეულ საგანს ბევრი სტუდენტი ირჩევს. საბჭოს შეკითხვები არ ჰქონდა დაწესებულების მიმართ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:49

დასრულების დრო: 15:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული) Computer Science (Georgian-French)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26/08/2022 N 952865
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Computer Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0177 თბილისი, უნივერსიტეტის ქ.13
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსხივაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა მაქსიმ იავიჩმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართების აკრედიტაციის პროცესში გაცემულ იქნა 19 რეკომენდაცია, რომელთაგან დაწესებულებამ უმეტესობა შეასრულა, რაღაც ნაწილს კი არ ეთანხმება და არ შეუსრულებია. რეკომენდაცია მდგომარეობდა შემდეგში: „თავიდანვე განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები ქართულ ენასა და მათემატიკაში“ - უნივერსიტეტმა ეს არ გაითვალისწინა, რადგან ყოველწლიურად აღნიშნული განისაზღვრება კითხვარში. ეს პოზიცია ექსპერტისათვის მისაღებია. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით პროგრამას უნდა დამატებოდა შემდეგი კურსები: ჩაშენებული სისტემები, კიბერუსაფრთხოება, ბლოკჩეინი, ტექმეწარმოება, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, UX დიზაინი, პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება. უნივერსიტეტმა არ შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან დაწესებულების მტკიცებით ამ საგანთა დაფარვა ხდება სხვა საგნების მასალაში. ექსპერტისთვის დაწესებულების პოზიცია ნაწილობრივაა მისაღები, რადგან მართლაც იფარება საკითხები სხვა საგნებში, მაგრამ ექსპერტის მოსაზრებით, კიბერუსაფრთხოება და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია უნდა დაემატოს ცალკე საგნებად მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ამ საგნების საკითხები იფარება არსებულ საგნებში მხოლოდ ნაწილობრივ. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, არჩევითი კურსი შესავალი ლინუქსის თემებში უნდა გახდეს სავალდებულო. უნივერსიტეტმა არ გაითვალისწინა აღნიშნული, რადგან უკვე არსებული ოპერატიული სისტემები, რომელშიც ლინუქსი ნაწილობრივ იფარება. ექსპერტის მოსაზრებით უნივერსიტეტის პოზიცია მისაღებია, რადგან არ აქვს მნიშვნელობა რომელ სისტემას შეისწავლის სტუდენტი, ვინდოუსს თუ ლინუქსს. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, უნდა შეიცვალოს კურსის პირადი შესწავლისა და ინტეგრაციის პროექტის სახელწოდება და თემები. უნივერსიტეტმა აღნიშნული პროგრამა უცხოელ პარტნიორებთან შეთანხმებით და მათი შექმნა, შესაბამისად ამ რეკომენდაციის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება. ექსპერტისთვის არსებული არგუმენტი მისაღებია, რადგან სხვა უნივერსიტეტთან ერთად შექმნილი პროგრამა ორმაგი ხარისხის კონტრაქტის პირობების

დაცვით. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, კურსს C#-ს დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი რესურსები და გაიწეროს პროექტის ტიპები, ეტაპები, ვადები. უნივერსიტეტმა აღნიშნული არ შეასრულა, რადგან დაწესებულების განმარტებით სასწავლო მასალა ინგლისურენოვან ლიტერატურას ეფუძნება, ასევე მოიცავს დამატებით რესურსებს. საგნის შეფასებაში საერთოდ არ არის პროექტი, ამიტომ აქ უნივერსიტეტს არ აქვს შესაძლებლობა რაიმე შეცვალოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისთვის დაწესებულების პოზიცია ნაწილობრივ არის მისაღები, რადგან, მხოლოდ ერთი 2017 წლის რედაქციის წიგნია საგნის ლიტერატურაში და მისი აზრით, სასურველია დაემატოს უფრო თანამედროვე ლიტერატურა, რადგან არსებული მოძველებულია. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, უნდა გასწორდეს კურსის ფორმალური ენები და ავტომატები, ისე რომ, მიეთითოს უნივერსიტეტის და არა პირადი ბიბლიოთეკის ლიტერატურა, რუსულენოვანი ლიტერატურა სრულად ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანით, ზოგადი ტიპის ლიტერატურა დაკონკრეტდეს. დაწესებულებამ აღნიშნული არ შეასრულა შემდეგი არგუმენტით, რომ ის ეხება რჩევით ლიტერატურას. ექსპერტისთვის დაწესებულების პოზიცია მისაღებია, რადგან მართლაც საქმე გვაქვს არჩევით ლიტერატურასთან. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, უნდა გასწორდეს კურსის ალბათობა და სტატისტიკის მიზნები. დაწესებულებამ აღნიშნული არ შეასრულა, რადგან მიიჩნევს რომ წესრიგშია. ექსპერტი ეთანხმება დაწესებულების ამ არგუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მიმართულების ხელმძღვანელმა მანანა ხაჩიძემ განმარტა, რომ პროგრამა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება და როდესაც ექსპერტები იმყოფებოდნენ დაწესებულებაში უნივერსიტეტს დროის სიმცირის გამო, რადგან ახალი სასწავლო წელი იწყებოდა, უნივერსიტეტს არ გაუცია ექსპერტებისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი და არც გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია. მიმართულების ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ბევრი შენიშვნა არ იყო ადეკვატური, რადგან ექსპერტებს წაკითხულიც კი არ ჰქონდათ სილაბუსი და საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაწესებულებამ თანმხლებ დოკუმენტად წარმოადგინა. შეფასებაში არსებული შენიშვნები ასევე ეხებოდა პროგრამაში არ არსებულ საკითხებს. მიმართულების ხელმძღვანელისთვის გაუგებარია რატომ გაუჩნდა ექსპერტს შენიშვნები სილაბუსზე, რომელიც ექვსი თვის წინაც შეამოწმა და არ ჰქონდა არანაირი შენიშვნა. ამ ექვსი თვის განმავლობაში ერთადერთი ცვლილება იყო ორმაგი დიპლომის შესახებ. შესაძლებელი იყო დაწესებულებას გაეთვალისწინებინა ყველა რეკომენდაცია, მაგრამ რადგანაც პროგრამა შეთანხმებულია ფრანგ პარტნიორებთან, ხელშეკრულება დაწესებულებას ამის საშუალებას არ აძლევდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა მაგდა ცინცაძემ შეაჯამა რეკომენდაციები, რომელზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ნაწილობრივ იყო დამაკმაყოფილებელი. პირველი ეხებოდა C#, რომელთან დაკავშირებითაც იყო ლიტერატურის განახლების შესახებ რეკომენდაცია. დაწესებულების არგუმენტით, სილაბუსის ცვლილება საჭიროებს საბჭოს შეკრებას, თუმცა სასწავლო მასალები ყოველდღიურ სასწავლო პროცესში თანამედროვე და ახალია. ამისთვის ხელმძღვანელმა წარმოადგინა, თუ როგორ ხდება ლიტერატურის განახლება და მიეთითება მასალები. გაეთვალისწინებელი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელშეკრულების გამო დაწესებულებას უჭირს, მაგრამ ხელშეკრულების ვადის გასვლასთან ერთად დაწესებულება გეგმავს რეკომენდაციების გათვალისწინებას.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას საგნების: კიბერუსაფრთხოებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის დამატების შესახებ.

დაწესებულების განმარტებით, კიბერუსაფრთხოების საგნის არარსებობა კვლავ საერთაშორისო ხელშეკრულების მიზნით ხდება, ვინაიდან ამ საგანზე მოთხოვნა პარტნორი უნივერსიტეტისთვის არ არსებობს. შესაბამისად არსებული შეთანხმება არ ითვალისწინებს ამ საგანს. პროგრამულ ინჟინერიასთან დაკავშირებითაც ასევე დაბრკოლებას ქმნის ხელშეკრულება. გარდა ამისა ეს საგანი გათვალისწინებულია როგორც არჩევითი, ვინაიდან

არა ამ პროგრამის, არამედ კომპიუტერული მეცნიერებების საგანია და სტუდენტებს მაინც ეძლევათ საშუალება შეისწავლონ ის. სტუდენტებს უწევინ რეკომენდაციას, რომ აირჩიონ პროგრამული ინჟინერია და მათ ეძლევათ თავისუფლება, ქართულენოვანი კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამიდან აირჩიონ ნებისმიერი საგანი.

თავმჯდომარემ მიმართა შეკითხვით დაწესებულებას, თუ რამდენად გავა სტუდენტი სწავლის შედეგებზე ნახსენები საგნების დამატების გარეშე.

დაწესებულების განმარტებით პროგრამაში გათვალისწინებული საგნები ფარავს ამ ორი საგნის საკითხებს.

ექსპერტის შეფასების მიხედვით, საკითხები იფარება, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ეს ორი საგანი უნდა იყოს გამოყოფილი მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

საბჭოს მხრიდან მეტი შეკითხვა არ დასმულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:27

დასრულების დრო: 15:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტის 2¹¹ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიში .

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება, 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ფიროსმანის ქ. 12, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

დიახ

თვითაცილება განაცხადეს ერმილე მესხიამ და თამარ სირაქემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წლის 12 აგვისტოს და ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი. დაწესებულების ანგარიშში ვრცლად იყო ასახული იყო რეკომენდაციების შესრულების შესახებ. გაცემული 18 რეკომენდაციიდან ექსპერტის შეფასებით სრულად შესრულდა 15 რეკომენდაცია. 3 რეკომენდაცია ძირითადად შესრულებულია, მაგრამ არა სრულად. რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებამ განახორციელა გარკვეული ქმედებები. 3 რეკომენდაცია, რომელიც მეტწილად შესრულდა, დაწესებულების მიერ განხორციელებული ქმედებები სწავლის მიზნის დონეს ვერ შეესაბამება. მეექვსე სემესტრის სასწავლო კურსზე დარჩენილია ტექნიკური საკითხი, სადაც მესამე დონით გადიან სტუდენტები, მეშვიდეში კი მეორე დონით. ასეთი ორი საკითხია დარჩენილი. შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისობისთვის

სასწავლო კურსები გადამუშავდა, გარდა კურსის, ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა, სადაც სასწავლო მიზნად მითითებულია, რომ სტუდენტი ახორციელებს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებს. კურსის შინაარსში მსგავსი საკითხი არ მოიძებნება. შესაბამისად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ზოგადად, არსებული პროგრამით სასწავლო მიზნის მიღწევა არის შესაძლებელი, მაგრამ კონკრეტულად ამ კურსთან დაკავშირებით ეს საკითხი გასასწორებელია. გარდა ამისა, რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც უნდა გადამუშავდეს სასწავლო კურსების შინაარსები და დაფაროს საკითხები, სრულყოფილად ვერ შესრულდა. არის სამი-ოთხი საკითხი რომელიც არ აკმაყოფილებს რეკომენდაციის პირობებს, კერძოდ: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირების და ნავთობისა და გაზის ქიმიის კურსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავადაც იყო იმ ჯგუფში, რომელმაც გასცა აღნიშნული რეკომენდაციები, მაშინ დაწესებულებამ ახსნა, რომ აღნიშნული საკითხები სხვადასხვა კურსების ფარგლებში ისწავლება, თუმცა, მაშინვე არსებობდა რეკომენდაცია, რომ საკითხები იმ მიმართულებით და სახით ჩამოყალიბებულიყო შინაარსში, რა მიმართულებითაც განიხილებოდა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ამ ორი კურსის რამდენიმე საკითხი დარჩა დაწესებულებას გადასაფარი. ექსპერტის განმარტების მიხედვით მთლიანობაში პროგრამამ მოცულობითი პროგრესი განახორციელა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების პოზიციის მიხედვით, პროგრამამ მართლაც განიცადა დიდი პროგრესი და რეკომენდაციების შეუსრულებელი ნაწილები წარმოადგენენ უმნიშვნელო დეტალებს. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მიიღო როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი და მოეკიდა პასუხისმგებლობით.

თავმჯდომარემ დაწესებულებას მიმართა შეკითხვით, თუ რა დრო დაჭირდებოდა დარჩენილი სამი რეკომენდაციის შესრულებას.

დეკანმა განმარტა, რომ დონეებს შორის არსებული ალოგიკური სხვაობა მომდინარეობს იქიდან, რომ აღნიშნულ ორ საგანს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო. ისინი არ არიან ერთმანეთის წინაპირობები. საგანმანათლებლო დაწესებულების განმარტებით, რადგანაც ბოლო სემესტრებში სტუდენტები ზოგიერთი საგნის დაბალ დონეებს გადაიან, ეს არ ნიშნავს სწავლის ხარისხის შემცირებას ან პროგრამის გამარტივებას, ვინაიდან აღნიშნული კურსები წარმოადგენენ ახალი სფეროს და განვითარებისთვის დაბალი სემესტრების საგნებზე მაღალი დონის მქონეს.

შემდეგ შენიშვნაზე, ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა, სადაც სასწავლო მიზნად მითითებულია, რომ სტუდენტი ახორციელებს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებს, ხოლო საგნის საკითხები არ ითვალისწინებს ასეთს, დეკანმა განმარტა, რომ აღნიშნული არის ბეჭდვის შეცდომა. შემდეგი შენიშვნა სასწავლო მიზნების გადახედვასთან დაკავშირებით, რომ დაიფაროს ყველა საკითხი და არ მეორდებოდეს თემები, დეკანმა აღნიშნა, რომ თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა კურსის ერთი და იგივე მიზანი სხვადასხვა გზით და საკითხის ინდივიდუალური ჩაშლით მიიღწევა.

ექსპერტის კომენტარის მიხედვით, მთავარია სწავლის შედეგების მიღწევა და წარმოდგენილ მონაცემებში მიზანს სასწავლო კურსის საკითხები უნდა შეესაბამებოდეს, რაც ძირითადად აღნიშნული პროგრამით დაკმაყოფილებულია. სხვადასხვა საგანში ერთი და იგივე მიზნებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსში უნდა ჩაიშალოს საკითხების შინაარსი თვალსაჩინოებისთვის. ექსპერტის მოსაზრებით, ორი კურსის შემთხვევაში დარჩა გასათვალისწინებელი მის მიერ აღნიშნული დეტალები და საბოლოო ჯამში, პროგრამა, მისი აზრით, მუშაობს გამართულად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:57

დასრულების დრო: 16:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტის 2¹¹ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 16:03 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატვიანი რატი



რ. რატვიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

